დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 29 მაისის №96 სხდომის ოქმით

ცვლილებები შეტანილია:
2015 წლის 20 ნოემბრის N12 ოქმით
2016 წლის 26 დეკემბრის N27 ოქმით

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური პროექტების წარდგენისა და დაფინანსების წესი

აღნიშნული წესი განსაზღვრავს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების ინიციატივით გასამართი ღონისძიებებისა და პროექტების დაფინანსების პროცედურებს შემდეგი პირობებით:

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები, სტუდენტური თვითმმართველობა და სტუდენტური კლუბები უფლებამოსილნი არიან, სტუდენტური პროექტების და ღონისძიებების დაფინანსების მოთხოვნით მიმართონ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.~
2. სტუდენტური პროექტის შესახებ განცხადების განხილვის მიზნით, რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იქმნება პროექტების განმხილველი მუდმივმოქმედი 2 კომისია:
ა) იმ სტუდენტური პროექტების განსახილველად, რომელთა ბიუჯეტი შეადგენს 200 ლარს ან ნაკლებს იქმნება კომისია, რომლის შემადგენლობა განისაზღვრება 4 წევრით: რექტორის მოადგილე, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე საზოგადოებასთან ურთიერთობის, მარკეტინგის და სტუდენტური სერვისების მიმართულებით, იურიდიული სამსახურის უფროსი და სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტის ხელმძღვანელი. იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების მიღებისას ხმები გაიყოფა თანაბრად, პროექტი განსახილველად გადაეცემა ამ ბრძანების მე-2 პუნქტით განსაზღვრულ საბჭოს;
ბ) იმ სტუდენტური პროექტების განსახილველად, რომელთა ბიუჯეტი აღემატება 200 ლარს იქმნება კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიან: რექტორის მოადგილე, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე საზოგადოებასთან ურთიერთობის, მარკეტინგის და სტუდენტური სერვისების მიმართულებით, იურიდიული სამსახურის უფროსი, სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტის ხელმძღვანელი და ყველა საგანმანათლებლო ერთეულის დეკანი;
გ) კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი.“
3. ამ წესის მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული კომისია საპროექტო განაცხადების განხილვის მიზნით შეიკრიბება კვირაში ერთხელ, ხოლო ამ წესის მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული კომისია შეიკრიბება - თვეში ერთხელ. ამ მუხლით განსაზღვრული წესიდან გამონაკლისი შესაძლოა დაწესდეს და შესაბამისი კომისია რიგგარეშე შეიკრიბოს მიმდინარე საჭიროებიდან გამომდინარე.
4. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი კომისიას წარუდგენს სტუდენტური პროექტების/ღონისძიებების დაფინანსების შესახებ შემოსულ განაცხადებს.
5. სტუდენტური პროექტების დაფინანსების შესახებ განაცხადი უნდა გაიგზავნოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სახელზე უნივერსიტეტის ოფიციალურ მეილზე info@iliauni.edu.ge საპროექტო განაცხადის წინასწარ განსაზღვრული ფორმით (დანართი #1 საპროექტო განაცხადის ფორმა).

6. ა) იმ შემთხვევაში თუ პროექტი არ საჭიროებს ტენდერის ჩატარებას, პროექტით განსაზღვრული აქტივობების შესასრულებლად, საპროექტო განაცხადი წარმოდგენილი უნდა იყოს კომისიის სხდომამდე არაუგვიანეს 10 სამუშაო დღით ადრე.

ბ) იმ შემთხვევაში თუ პროექტი საჭიროებს ტენდერის ჩატარებას, პროექტით განსაზღვრული აქტივობების შესასრულებლად, საპროექტო განაცხადი წარმოდგენილი უნდა იყოს კომისიის სხდომამდე არაუგვიანეს 30 სამუშაო დღით ადრე.

7. კომისიის მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში პროექტი წარედგინება ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რათა მოხდეს პროექტის დაფინანსება შესაბამისი პროცედურების დაცვით;

8. პროექტის ავტორ(ებ)ს პროექტის დაფინანსების ან არ დაფინანსების თაობაზე პასუხი ეცნობებათ კომისიის სხდომის ჩატარებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღეში.

9. პროექტის განხილვისა და დამტკიცების შემდეგ პროექტში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში კომისიის წერილობითი თანხმობის საფუძველზე.

10. ამ წესის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს აკადემიური საბჭოს 2012 წლის 23 მარტის მე-60 სხდომის ოქმით დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური პროექტების წარდგენისა და დაფინანსების წესი.